გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა
IV კურსის სტუდენტი

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

გიორგი ფოჩხიძე

- 2013 წლიდან საქართველოში მოქმედებს ინტერ-ფრაქციული ჯგუფი,რომელიც სხვა საკითხებთან ერთად მუშაობს საარჩევნო სისტემის რეფორმირების საკითხზეც. არსებობს აზრი, რომ არსებული საარჩევნო სისტემა ხარვეზების გამო არ არის მართებული და მისაღები პოლიტიკური სპექტრისთვის. საუბარია “შერეულ საარჩევნო მოდელზე“ და საჭიროა მისი ახალი მოდელით ჩანაცვლება, აღნიშნულიდან გამომდინარე მოცემულ ნაშრომში ასახულია თუ რას გულისხმობს მოქმედი საარჩევნო სისტემა და რას ნიშნავს ახალი ე.წ. „გერმანული მოდელი“. ასევე განხილულია სხვა მოდელები.

არჩევნების ისტორია საქართველოში

- 1“პირველი მრავალპარტიული და დემოკრატიული არჩევნები საქართველოში 1919 წლის თებერვალში ჩატარდა. მოსახლეობამ აირჩია საქართველოს დამფუძნებელი კრება.
- არჩევნები პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, პარტიული სიების მიხედვით ჩატარდა. მასში 15 პარტია მონაწილეობდა.

- 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკურ ველზე ახალი მოთამაშე, საზოგადოებისთვის იქამდე პრაქტიკულად უცნობი ფიგურა, ბიძინა ივანიშვილი შემოვიდა. წინასაარჩევნო კამპანიამ და არჩევნებმა დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე ჩაიარა და არჩევნების დღემდე რთული იყო მისი შედეგების წინასწარმეტყველება.თუმცა საბოლოოდ პოლიტიკაში ახალი ძალა მოვიდა.

მოქმედი საარჩევნო სისტემის მიმოხილვა

- საარჩევნო სისტემები იყოფა – მაჟორიტარულ და პროპორციულ საარჩევნო სისტემებად. თუმცა აქტიურად გამოიყენება შერეული საარჩევნო სისტემაც, რომელიც სხვადასხვა მოდელით აერთიანებს მაჟორიტარული და პროპორციული სისტემის ნიშნებს.

გერმანული მოდელი დადებითი და უარყოფითი მხარეები

- გერმანია საპარლამენტო სახელმწიფოა, შესაბამისად ქვეყნის პოლიტიკაში გადამწყვეტ როლს სწორედ საკანონმდებლო ორგანო თამაშობს, რომელიც ორ პალატადაა გაყოფილი. ქვედა პალატას წარმოადგენს ბუნდესტაგი, რომელიც 598 დეპუტატისაგან შედგება. 299 დეპუტატს სპეციალური საარჩევნო ერთმანდატიანი ოლქებისაგან ირჩევენ, დანარჩენს კი პარტიული პროპორციული სიებით.

§ ე.წ. “გრმანული საარჩევნო მოდელი“უარყოფითი მხარე.

- 1.ამ მოდელის შემთხვევაში,შესაძლებელია მოხდეს პარტიული დაპირისპირება და რაც გამოიხატება მაჟორიტარების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულები,რომლეიც პოტენციურად პარტიული სიის ადგილი შესაძლოა დაიკავონ.

დადებითი მხარე

- 1.დაცული პროპორციულობის პრინციპი
- შესაბამისად პარტია მიიღებს იმდენ

პროცენტს რამდენი ხმაც მოაგროვა ქვეყნის

მაშტაბით.

რეგიონალური პროპორციული სისტემა,

- რეგიონალური პროპორციული სისტემის ფარგლებში არჩევნების ჩატარება ხდება კონკრეტული რეგიონებისათვის განკუთვნილი სიებით, აგრეთვე ამომრჩევლებს შეუძლიათ არამარტო პარტიული სიმპათიები დააფიქსირონ, არამედ განსაზღვრონ სასურველ პოლიტიკურ გაერთიანებაში შემავალი პირების მათთვის სასურველი რიგითობა.

დადებითი მხარე

- გეოგრაფიული წარმომადგენლობის უზრუნველყოფა, რადგან მანდატების გადანაწილება რეგიონალურ დონეზე ხდება და შესაბამისად იზრდება კავშირი ამომრჩეველსა და მის წარმომადგენელს შორის, რაც არის ერთგვარი მაჟორიტარული სისტემის კომპენსირება.

უარყოფითი მხარე

- მისი ერთ-ერთი დიდი მინუსია დამოუკიდებელი კანდიდატების არ არსებობა, ვინაიდან არჩევნები ტარდება მხოლოდ პროპორციული წესით და შესაბამისად დამოუკიდებელი კანდიდატები ვერ მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კონსტიტუცია და საარჩევნო კოდექსი მნიშვნელოვნად საჭიროებს გადასინჯვას, გარკვეული მუხლების ცვლილებას და ზოგიერთი ნაწილის გაუქმებასაც კი. კოდექსის გადასინჯვამდე, საჭიროა, შეიცვალოს საარჩევნო მოდელი საქართველოში. რესპუბლიკური პარტიის მიერ შემოთვაზებული ე.წ. “გერმანული მოდელი“ არ არის მისაღები საქართველოსთვის, რადგან მას ჭირდება პოლიტიკური მზაობა, რაც ქვაყანას არ გააჩნია,ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მოცემული მოდელი მორგებულია ფედერალური მმართველობის ქვეყნებზე, სადაც დეპუტატათა რაოდენობა არ არის მკაცრად ლიმიტირებული.

- რაც შეეხება რეგიონალურ საარჩევნო სისტემას, ის აპრობირებულია ევროპის ბევრ ქვეყანაში, მისი დადებითი მხარე სიმარტივე რომელიც მის სისტემაში გამოიხატება კერძოდ, რეგიონალური სისტემის დროს არჩევნების ჩატარება ხდება კონკრეტული რეგიონისთვის განკუტვნილი სიებით,ასევე სწორედ ამომრჩეველს შეუძლია განსაზღვროს კონკრეტული პოლიტიკური ძალის კანდიდატთა რიგითობა. ამ სისტემის სრულყოფილად ასამუშავებლად საჭიროა შეიცვალოს, ოლქების საზღვრები და დაიყოს არა არსებული, არმედ სარეთაშორისო სტანდარტით 10-15 პროცენტის სხვაობით რაც რეალურად ასახავს ამომრჩევლის ნებას.

გმადლობთ ყურადღებისათვის.